

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება


„ქარაფი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა,
ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის

ქობულეთი
2018



შპს „ქარაფი“

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
3. სრული შემოსავლების ანგარიში
4. კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
6. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
7. მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქარაფი“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ქარაფი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ქარაფი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ქარაფი“-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მოვითხოვეთ გამოვლენილი არსებითი უზუსტობის შესწორება, რომელმაც განაპირობა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ციფრების შეცვლა. ასს-ის შესაბამისად, ჩვენ 2017 წლის აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ ფინანსური ანგარიშგების N17 შენიშვნაში აღწერილი შესწორებები, რომლებიც განხორციელდა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესწორებისათვის, ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი

იყო და სწორად არის გაკეთებული. ჩვენ არ ვიყავით დანიშნული შპს „ქარაფი“-ს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს - ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ქარაფი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ქარაფი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზრულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ქარაფი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ქარაფი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ქარაფი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „ქარაფი“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

27 სექტემბერი 2018 წელი

მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

27 სექტემბერი 2018 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	44,487,285	45,708,253	40,516,710
არამატერიალური აქტივი	8	96,025	114,604	-
სხვა გრძელვადიანი აქტივი		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,583,311	45,822,857	40,516,710
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	238,794	253,561	256,241
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,413,879	3,386,022	8,808,643
სხვა მიმდინარე აქტივები	11	34,107	27,266	20,445
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	41,092	140,243	24,935
სულ მიმდინარე აქტივები		3,727,872	3,807,093	9,110,264
სულ აქტივები:		48,311,183	49,629,950	49,626,974
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		45,972,481	45,972,481	45,972,481
რეზერვები		222,103	222,103	222,103
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	17	(9,882,952)	(5,948,813)	(1,359,933)
სულ საკუთარი კაპიტალი		36,311,632	40,245,770	44,834,651
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	16	11,035,282	9,901,862	5,184,350
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,035,282	9,901,862	5,184,350
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	204,369	118,667	144,981
საგადასახადო ვალდებულებები	14	(131,893)	(1,118,270)	(699,909)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	891,794	481,921	162,901
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		964,269	(517,682)	(392,026)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		48,311,183	49,629,950	49,626,974

გენერალური დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	44,487,285	45,708,253	40,516,710
არამატერიალური აქტივი	8	96,025	114,604	-
სხვა გრძელვადიანი აქტივი		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>44,583,311</u>	<u>45,822,857</u>	<u>40,516,710</u>
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	238,794	253,561	256,241
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,413,879	3,386,022	8,808,643
სხვა მიმდინარე აქტივები	11	34,107	27,266	20,445
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	41,092	140,243	24,935
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3,727,872</u>	<u>3,807,093</u>	<u>9,110,264</u>
სულ აქტივები:		<u>48,311,183</u>	<u>49,629,950</u>	<u>49,626,974</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		45,972,481	45,972,481	45,972,481
რეზერვები		222,103	222,103	222,103
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	17	(9,882,952)	(5,948,813)	(1,359,933)
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>36,311,632</u>	<u>40,245,770</u>	<u>44,834,651</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	16	11,035,282	9,901,862	5,184,350
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>11,035,282</u>	<u>9,901,862</u>	<u>5,184,350</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	204,369	118,667	144,981
საგადასახადო ვალდებულებები	14	(131,893)	(1,118,270)	(699,909)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	891,794	481,921	162,901
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>964,269</u>	<u>(517,682)</u>	<u>(392,026)</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>48,311,183</u>	<u>49,629,950</u>	<u>49,626,974</u>

დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფუნქციური
მეთოდით

		12/31/2017	12/31/2016
ამონაგები	1	3,391,958	1,490,957
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	2	<u>(2,012,339)</u>	<u>(1,365,593)</u>
საერთო მოგება		1,379,618	125,364
 სხვა შემოსავალი	3	20,934	92,108
კომერციული დანახარჯები	4	(148,601)	(42,271)
ადმინისტრაციული დანახარჯები	5	(3,602,326)	(3,085,861)
სხვა ხარჯები	6	<u>(1,583,765)</u>	<u>(1,678,220)</u>
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(3,934,139)	(4,588,880)
 მოგების გადასახადი		<u>-</u>	<u>-</u>
საანგარიშო წლის მოგება		(3,934,139)	(4,588,880)

გენერალური დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ანგარიშგება ფუნქციური
მეთოდით

		12/31/2017	12/31/2016
ამონაგები	1	3,391,958	1,490,957
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	2	(2,012,339)	(1,365,593)
საერთო მოგება		1,379,618	125,364
სხვა შემოსავალი	3	20,934	92,108
კომერციული დანახარჯები	4	(148,601)	(42,271)
ადმინისტრაციული დანახარჯები	5	(3,602,326)	(3,085,861)
სხვა ხარჯები	6	(1,583,765)	(1,678,220)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(3,934,139)	(4,588,880)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო წლის მოგება		(3,934,139)	(4,588,880)

დირექტორი

მთ. ბუღალტერი




გიორგი რუხაძე

ნინო სოლომონიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2015 წაშთი		<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(1,359,933)</u>	<u>44,834,651</u>
წინა საანგარიშო პერიოდების შესწორება					-
31.12.2015 წაშთი	16	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(1,359,933)</u>	<u>44,834,651</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება					-
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება					-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი				(4,588,880)	(4,588,880)
31.12.2016 წაშთი	16	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(5,948,813)</u>	<u>40,245,770</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება					-
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება					-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი				(3,934,139)	(3,934,139)
31.12.2017 წაშთი	16	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(9,882,952)</u>	<u>36,311,632</u>

გენერალური დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
<u>31.12.2015 წაშთი</u>	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(1,359,933)</u>	<u>44,834,651</u>
წინა საანგარიშო პერიოდების შესწორება				-
<u>31.12.2015 წაშთი</u>	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(1,359,933)</u>	<u>44,834,651</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				-
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი			(4,588,880)	(4,588,880)
<u>31.12.2016 წაშთი</u>	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(5,948,813)</u>	<u>40,245,770</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				-
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი			(3,934,139)	(3,934,139)
<u>31.12.2017 წაშთი</u>	<u>45,972,481</u>	<u>222,103</u>	<u>(9,882,952)</u>	<u>36,311,632</u>

დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,984,033	1,586,471
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2,341,086)	(1,212,781)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	<u>(1,319,889)</u>	<u>(952,859)</u>
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	323,058	(579,169)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	323,058	(579,169)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u><u>323,058</u></u>	(579,169)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,580,466)	(2,338,414)
მიღებული სესხები	6,291,975	6,091,652
გადახდილი პროცენტები	<u>(337,633)</u>	<u>(299,548)</u>
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u><u>4,373,875</u></u>	<u><u>3,453,690</u></u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(4,308,231)	(2,048,121)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	6,575	51,266
სავალუტო გადაფასების ხარჯი	<u>(494,430)</u>	<u>(762,357)</u>
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u><u>(4,796,085)</u></u>	<u><u>(2,759,212)</u></u>
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	<u><u>(99,152)</u></u>	<u><u>115,308</u></u>
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	140,243	24,935
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u><u>41,092</u></u>	<u><u>140,243</u></u>

გენერალური დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით

	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,984,033	1,586,471
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(2,341,086)	(1,212,781)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1,319,889)	(952,859)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	323,058	(579,169)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	323,058	(579,169)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>323,058</u>	<u>(579,169)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,580,466)	(2,338,414)
მიღებული სესხები	6,291,975	6,091,652
გადახდილი პროცენტები	(337,633)	(299,548)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>4,373,875</u>	<u>3,453,690</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(4,308,231)	(2,048,121)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	6,575	51,266
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(494,430)	(762,357)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(4,796,085)</u>	<u>(2,759,212)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	<u>(99,152)</u>	<u>115,308</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	140,243	24,935
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>41,092</u>	<u>140,243</u>

დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქარაფი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქობულეთის რაიონი, დაბა ციხისძირი, 100% წილის მფლობელია არარეზიდენტი კომპანია Mosimmobilia Immobilienengesellschaft mbH, ავსტრია, დირექტორი გიორგი რუხაძე. საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების (სასტუმროების) მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2016 წლის 1 იანვრამდე არსებულ პერიოდებზე, კომპანიას არ მოუთხოვებოდა და არც მოუშადავია ფინანსური ინფორმაცია „ადგილობრივი საყოველთაოდ აღიარებული საბუღალტრო პრინციპების“ მიხედვით, შესაბამისად მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მის ფასს-ზე ტრანზიციასთან დაკავშირებულ კორექტირებებს.

საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არანაზღაურებელ გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღირებების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადასა და შესაბამის საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესის მიხედვით.

მის ფასს-ის მიზნებისთვის, ცვეთის აღირება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის მიხედვით.

საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავტო და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
არამატერიალური აქტივები	15%

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა „საშუალო შეწონილი“ ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაკოს, და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში.

შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის დარიცხვის შესაბამისად. საწევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

შემოსავლების აღიარება მათის სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები და ფასდათმობები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც:

კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავიდა მყიდველზე;

კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი;

შესაძლებელია შემოსავლის და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება;

შემოსავალი იჯარიდან განისაზღვრება შესაბამის ხელშეკრულებებში განსაზღვრული პირობებით შესაბამისად.

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებულია მხარეთა მიერ.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველ კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა (ეს თარიღი შემდგომში გადავადდა 2023 წლამდე).

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული გადასახადი ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეეფასებინა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, მოგების გადასახადის არა ახალი რეჟიმით დაბეგვრადი ურთიერთდამოკიდებულ პირთან არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. არჯად აღიარდება დივიდენდის განაწილებისა და გადახდის მომენტში.

ზემოაღნიშნული გარემოებებით მსს ფასს სტანდარტზე გადასვლას არ გამოუწვევია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესადარის მაჩვენებლებში ცვლილებები.

4. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

1. ამონაგები

შენიშვნა 1

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

1. ამონაგები

	დასახელება	2017 წ	2016 წ
1	შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	27934	7989.77
2	შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	3349421	1474580.88
3	შემოსავალი იჯარიდან	14603	8386
	სულ ამონაგები:	3391957.87	1490956.65

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის რეალიზაციიდან ამონაგებს ისე ფართის გაქირავებიდან მიღებულ შემოსავლებს.

2. რელიზებული საქონლის თვითღირებულება

შენიშვნა 2

	დასახელება	2017წ	2016წ
1	რელიზებული საქონლის თვითღირებულება	14693	2,809
2	შრომის ანაზღაურება	1997646	1,362,784
	სულ სხვა საწარმოო შემოსავლები:	2012339	1365592.83

3. სხვა შემოსავლები

შენიშვნა 3

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემდეგი სახის შემოსავლები:

	დასახელება	2017წ	2016წ
1	საპროცენტო შემოსავალი	8006	31584
2	უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	6353	9258
3	კურსთა შორის სხვაობა	6575	51266
	სულ სხვა საწარმოო შემოსავლები:	20934	92108

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც სესხის ვადის განმავლობაში მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს ადისკონტირებს ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4. კომერციული დანახარჯები

შენიშვნა 4

	დასახელება	2017 წ	2016 წ
1	რეკლამის ხარჯები	82571	17166
2	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	66030	25105
	სულ სხვა საწარმოო ხარჯი:	148601	42271

5. ადმინისტრაციული დანახარჯები

შენიშვნა 5

	დასახელება	2017 წ	2016 წ
1	სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	500	
2	უნიფორმების ხარჯები	0	2966
3	საიფისე ინვენტარის ხარჯები	136	
4	კომუნიკაციის ხარჯები	57304	20162
5	კომუნალური ხარჯები	252074	127307
6	სარემონტო ხარჯები	8014	1433
7	კომპიუტერის ხარჯები	6835	2402
8	ცვეთა და ამორტიზაცია	2820013	2487516
9	საკონსულტაციო ხარჯები	2945	7908
10	სხვა საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)	414649	422626
11	საბანკო მომსახურების ხარჯი	34558	10727
12	წარმომადგენლობითი ხარჯი	5296	2815
	სულ ადმინისტრაციული დანახარჯები	3602326	3085861

6. სხვა ხარჯები

შენიშვნა 6

სხვა ხარჯები მოიცავს საპროექტო ხარჯებს და არასაოპერაციო ხარჯებს

დასახელება		2017 წ	2016 წ
1	ὈἀἈἈ ὈἈὈἔἙ ἄἈὈἈἔ	248048	314021
2	ὈἈἈἈ ἄἈὈἈἈἔ		13788
3	საპროექტო ხარჯები	841287	588054
4	უარყოფითი საკუროს სხვაობა	494430	762357
სულ სხვა ხარჯები:		1583765	1678220

5. ბალანსის ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

1) ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 7

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.16
შექმნის ღირებულება				
1 მიწის-ნაკვეთები	3595649	0	0	3595649
2 დაუმთავრებელი მშენებლობა	0	1597117.4	2012014	414896
3 მანქანა დანადგარები	11070	0	0	11070
4 შენობები	36021182	1368563.02	0	34652619
5 ნაგებობები	179154	5000	0	174154
6 მანქანა დანადგარები	6097400	135498.84	0	5961901
7 კუმირბამულობის ადჟუვრები	516230	45602.62	0	470627
8 ოფისის ადჟუვრები	893159	42351.34	0	850808
9 ინვესტირება	672536	72528.64	2135	602143
10 ავეჯი ვიქტორია	1880367	260494.63	0	1619873
11 სატრანსპორტო საშუალებები	96381	67458.81	0	28922
ჯამი	49963129	3594615	2014149	48382662
ცვეთა	ნაშთი 31.12.17	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.16
2 შენობის-ცვეთა	3470019		1725615	1744404
3 მანქანა-დანადგარების-ცვეთა	873326		418352	454974
4 ოფისის-ადჟუვრების-ცვეთა	285298		127775	157523
5 ავეჯისა-და-სხვა-ინვენტარის-ცვეთა	828839		521210	307629
6 სატრანსპორტო-საშუალებების-ცვეთა	18361		8483	9878
ჯამი	5475843	0	2801434	2674409
საბალანსო ღირებულება	44487285			45708253

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

2) არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 8

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.17	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.16
შექმნის ღირებულება				
1 პროგრამული უზრუნველყოფა	121062			121062
2 საბუღალტრო პროგრამები	2797			2797
ჯამი	123858	0	0	123858
ცვეთა	ნაშთი 31.12.17	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.16
2 პროგრამული უზრუნველყოფის ცვეთა	27239		18159	9080
6 საბუღალტრო პროგრამების ცვეთა	594		419	174
ჯამი	27833	0	18579	9254
საბალანსო ღირებულება	96025			114604

არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება ფასის მიზნებისთვის წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე მათი საარგებლობის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროექტო განაკვეთები შემდეგია:

ლიცენზიები	15%
პროგრამული უზრუნველყოფა	15%

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

შენიშვნა 9

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

დასახელება		თანხა	
		2017 წ	2016 წ
1	საქონელი	1514	98868
2	ნედლეული და მასალები	235370	141875
3	დაუმთავრებელი წარმოება	1910	12488
5	სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	0	330
9			
სულ მარაგი:		238794	253561

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება		2017 წ	2016 წ
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	252584	267182
2	მოთხოვნები ბანკებიდან	17109	7390
3	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	80300	45987
4	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3003886	3005463
5	მოვლევადიანი მოთხოვნები გაცემულ სესხზე	60000	60000
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:		3413879	3386022

სესხები მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომლებიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

შენიშვნა 12

ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, მათი სტრუქტურა შემდეგია:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

დასახელება		2017 წ	2016 წ
1	ნაღდი ფული საღირსოში	39082	12898
2	ეროვნული ვალუტა ბანკში	704	95701
3	უცხოური ვალუტა ბანკში	1306	31644
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		41092	140243

უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პრაქტიკა გამოიყენება ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

შენიშვნა 11

დასახელება		2017 წ	2016 წ
1	გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	34107	27266
სულ სხვა მიმდინარე აქტივები:		34107	27266

მოკლევადიანი ვალდებულებები

5.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება		2017წ	2016 წ
1	მოწ. და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	157326	102506
	მიღებული ავანსები	31899	11686
	გადასახდელი ხელფასები	1814	1714
	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	1675	2000
	ვალდებულებები მკეცემირე საწ.ების წინაშე	11653	761
2			
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		204369	118667

6.საგადასახადო ვალდებულებები შენიშვნა 14

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება		2017 წ	2016 წ
	გადასახდელი მოგების გადასახადი	(33,616)	(33,257)
	გადასახდელი სამშენსავლო გადასახადი	873,358	539,924
	უკუდაბეგვრის დღე	(9,034)	(9,034)
	გადახდილი დღე	(2,390,274)	(2,628,926)
	სოციალური გადასახადი	(422)	(422)
	ქონების გადასახადი	1,433,097	1,018,447
	სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(5,002)	(5,002)
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	(131,893)	(1,118,270)

7.სხვა მიმდინარე ვალდებულება შენიშვნა 15

სხვა მიმდინარე ვალდებულება შედგება გრძელვადიან სესხზე დარიცხული გადაუხდელი პროცენტისაგან მისი სტრუქტურა შემდეგია

დასახელება		2017 წ	2016 წ
1	სესხები საბანკო დაწესებულებიდან	0	0
	სესხები ფიზიკური პირებისგან	891794	481921
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულება		891794	481921

გრძელვადიანი ვალდებულებები

1.სასესხო ვალდებულებები შენიშვნა 16

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო პირობებზე კომპანიაზე ფიქსირებულ პროცენტთან სასესხო ვალდებულებებზე. სესხები მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომლებიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა არ არის არსებითი.

გრძელვადიანი სესხები	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
სესხები საბანკო დაწესებულებიდან	5537649.67	4621184	1000000
სესხები ფიზიკური პირებისგან	5497632	5280678	4184350
სულ გრძელვადიანი სესხები	11035282	9901862	5184350

მოცემული სესხებიდან მხოლოდ საბანკო სესხებია უზრუნველყოფილი კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებით (კორპუსი დიანა და კორპუსი ალბა).

შენიშვნა 17

გაუნაწილებელი მოგება ზარალი		(ლარი)		
დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15	
საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	(9,366,158)	(5,171,350)	(1,359,933)	
საკუროს სხვაობის ხარჯად აღიარება	(463,520)	(738,402)	-	
ცვეთის კორექტირება	(43,885)	(34,560)	-	
საგადასახადო ხარჯების კორექტირება (ქონების გადასახადი)	(9,389)	(4,501)		
ცვლილების ჯამი	(516,794)	(777,463)		
ნაშთი ცვლილების შედეგ	(9,882,952)	(5,948,813)	(1,359,933)	

დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე

მოკლევადიანი ვალდებულებები

5.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება		2017 წ	2016 წ
1	მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	157326	102506
	მიღებული ავანსები	31899	11686
	გადასახდელი ხელფასები	1814	1714
	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	1675	2000
	ვალდებულებები მეკავშირე საწ.ების წინაშე	11653	761
2	სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	204369	118667

6.საგადასახადო ვალდებულებები

შენიშვნა 14

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება		2017 წ	2016 წ
	გადასახდელი მოგების გადასახადი	(33,616)	(33,257)
	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	873,358	539,924
	უკუდაბეგვრის დღგ	(9,034)	(9,034)
	გადახდილი დღგ	(2,390,274)	(2,628,926)
	სოციალური გადასახადი	(422)	(422)
	ქონების გადასახადი	1,433,097	1,018,447
	სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(5,002)	(5,002)
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	(131,893)	(1,118,270)

7.სხვა მიმდინარე ვალდებულება

შენიშვნა 15

სხვა მიმდინარე ვალდებულება შედგება გრძელვადიან სესხზე დარიცხული

გადაუხდელი პროცენტისაგან მისი სტრუქტურა შემდეგია

დასახელება		2017 წ	2016 წ
	სესხები საბანკო დაწესებულებიდან	0	0
1	სესხები ფიზიკური პირებისგან	891794	481921
	სულ სხვა მიმდინარე ვალდებულება	891794	481921

გრძელვადიანი ვალდებულებები

1. სასესხო ვალდებულებები

შენიშვნა 16

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას სახელშეკრულებო პირობებზე კომპანიაზე ფიქსირებულ პროცენტთან სასესხო ვალდებულებებზე. სესხები მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომლებიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა არ არის არსებითი.

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
გრძელვადიანი სესხები			
სესხები საბანკო დაწესებულებიდან	5537649.67	4621184	1000000
სესხები ფიზიკური პირებისგან	5497632	5280678	4184350
სულ გრძელვადიანი სესხები	11035282	9901862	5184350

მოცემული სესხებიდან მხოლოდ საბანკო სესხებია უზრუნველყოფილი კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებით (კორპუსი დიანა და კორპუსი ალბა).

შენიშვნა 17

გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.17	ნაშთი 31.12.16	ნაშთი 31.12.15
საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	(9,366,158)	(5,171,350)	(1,359,933)
საკუროს სხვაობის ხარჯად აღიარება	(463,520)	(738,402)	-
ცვლის კორექტირება	(43,885)	(34,560)	-
საგადასახადო ხარჯების კორექტირება (ქონების გადასახადი)	(9,389)	(4,501)	-
ცვლილების ჯამი	(516,794)	(777,463)	-
ნაშთი ცვლილების შედეგ	(9,882,952)	(5,948,813)	(1,359,933)

დირექტორი

გიორგი რუხაძე

მთ. ბუღალტერი

ნინო სოლომონიძე





მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა
ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ა

2018 წელი

2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

შპს „ქარაფი“ (საიდენტიფიკაციო #446951148) შექმნილია სს „პანსიონატი ცისარტყელას“ რეორგანიზაციის საფუძველზე, (რეგისტრირებულია 16.04.2010 წელს), საზოგადოების პარტნიორი და 100% წილის მმართველია ავსტრიული კომპანია “Mosimmobilia Immobiliengesellschaft mbH”-ს. საზოგადოების უმაღლესი მმართველობის ორგანო არის პარტნიორთა კრება, ხოლო ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალება კომპანიის დირექტორს. კომპანიას არ გააჩნია ფილიალი და შვილობილი კომპანია.

2017 წლის მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) წარდგენის ვალდებულება კომპანიას გაუჩნდა პირველად, 2016 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად.

საქმიანობის სფერო

შპს „ქარაფის“ ძირითადი საქმიანობაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების (სასტუმროების) მშენებლობა. საქმიანობას საზოგადოება ახორციელებს 2010 წლიდან.

განხორციელებული პროექტები: 2010-2017 წწ.

სასტუმრო კომპლექსი „კასტელო მარე“;

- კომპლექსი მოიცავს საკუთრებაში არსებულ 16 526 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 22 055.69 კვ.მეტრ სასტუმროების „დიანა“, „ვიქტორია“, „აფროდიტა“-ს, „ალბა“-ს და საზაფხულო კაფე „პალმას“ შენობებს. (იხ. დანართი - უძრავი ქონების ჩამონათვალი/მონაცემები).
- კომპანიის მიერ სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, არსებული მდგომარეობით, 2010 წლიდან 2017 წლამდე გრძელდებოდა. სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა (რომელიც საწყის ეტაპზე მოიცავდა „დიანა“, „ვიქტორიასა“ და „აფროდიტა“-ს შენობებს მე-4 კლასის შენობებს) იმედოვნებდა მოიცავდა ჩაქვი-ქობულეთის რკინიგზის ზოლში სარკინიგზო გალერეის (200 მეტრი) მშენებლობას რომლის ძირითადი მიზანი იყო, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კომპლექსის ერთიან ფართობში მოქცევა და შენობების ხმაურისა და ვიბრაციისგან დაცვა. აღნიშნული პროექტი ჩვენმა კომპანიამ, სს „რკინიგზა“-სთან შეთანხმებით, წარმატებით განახორციელა. 2016 წლის იანვარში სასტუმრო კომპლექსი შევიდა ექსპლუატაციაში.


- აღნიშნული კომპლექსის მშენებლობისათვის განხორციელებული ინვესტიციების ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 52 მილიონი ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის #1063 განკარგულების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით შპს „ქარაფის“ მიერ შესყიდული იქნა სასტუმრო კომპლექსის კიდევ ერთი შემადგენელი სასტუმრო მე-3 კლასის შენობა-ნაგებობა „ალბა“, სადაც წარმატებით იქნა განხორციელებული საამშენებლო და კეთილმოწყობითი სამუშაოები. 2017 წლის 9 ივნისის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სასტუმრო „ალბა“ აყვანილ იქნა ექსპლუატაციაში.
- 2017 წლისათვის ასევე წარმატებით განხორციელდა კიდევ ერთი პროექტი - მე-2 კლასის შენობა-ნაგებობა- საზაფხულო კაფე „პალმა“, რომელიც 2017 წლის 12 ივლისს აყვანილ იქნა ექსპლუატაციაში.
- მშენებლობის პროცესში, კეთილმოეწყო როგორც სასტუმრო კომპლექსში შემავალი, ასევე მიმდებარე ტერიტორიების ინფრასტრუქტურა, რაც მოიცავს სოფლის საავტომობილო გზისა და გზის გარე განათების, საკომუნიკაციო ნაგებობების, წყლის ჭაბურღილების, სამრეწველო ტიპის გამწმენდი ნაგებობების, გაზსადენის, ინტერნეტის კაბელის და სხვა და სხვა საინჟინრო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.
- საბოლოო ჯამში კი მაღალარქიტექტურული ღირებულების სასტუმრო კომპლექსმა ახალი სიტყვა თქვა რეგიონში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას რომ ის გახდა სავიზიტო ბარათი როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მაცხოვრებლებისათვის, ასევე უცხოელი სტუმრებისათვის.

მართვის სტრუქტურა

- საზოგადოების შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.
- ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.
- დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.

შპს „ქარაფი“
სასტუმრო და გამაჯანსაღებელი კომპლექსი „კასტელი მარე“

ორგანიზაციული სტრუქტურა



მიმდინარე საქმიანობის ანგარიში: 2016-2018 წწ.

- 2016 წლის 5 ივლისიდან სასტუმრო კომპლექსმა („კასტელი მარე“) დაიწყო ფუნქციონირება და სასტუმროს საქმის მართვა გახდა კომპანიის ძირითადი საქმიანობა.
- დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს ოთხი სასტუმრო:
- სასტუმრო „ვიქტორია“, რომელიც არის კომპლექსის ძირითადი კორპუსი, შედგება - 33 ნომრისგან;
- სასტუმრო „დიანა“, მეორე კორპუსი - შედგება 53 ნომრისგან;
- სასტუმრო „ალბა“ - შედგება 23 ნომრისგან;
- ვილა-„აფროდიტა“- შედგება 1 ნომრისგან;



- სასტუმრო პროდუქტის გარდა კომპლექსში მოიცავს შემდეგ სერვისებს: ბარები, რესტორანი, საცურაო აუზი, სპა-მომსახურება, კორტები, გასართობი ცენტრი.
- სასტუმროს ფუნქციონირების დაწყების დღიდან ყოველთვიურად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (საშუალო-წლიური) 150 ადამიანს. გენდერული ბალანსი დაცულია და აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. კერძოდ:

ქალი		კაცი	
სეზონი	არასეზონი	სეზონი	არასეზონი
97	56	75	62

სასტუმრო კომპლექსის დატვირთულობა წლიური პროცენტული მაჩვენებლებით.

- 2017 წლის იანვრიდან-დეკემბრის ჩათვლით სასტუმრო მომსახურებით ისარგებლა -- 15690 ადამიანმა, ნომრების დატვირთვის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა შეადგენა - 20,36 %-ს.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ამონაგებმა 3 391 958 ლარი შეადგინა, 2016 წლის ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა - 1 490 957 ლარს. მთლიანობაში 2017 წლის ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე მიღებულია ზარალი 3 934 139 ლარი (2016 წლის ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე მიღებული ზარალი შეადგენდა 4 588 880 ლარს). 2017

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 48 311 183 ლარს, ხოლო საწესდებო კაპიტალი - 45 972 481 ლარს.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების რეიტინგის ზრდა და მომსახურების სერვისის ხარისხის ამაღლება კლიენტის შემდგომი მოზიდვის მიზნით;
- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და ხარჯების ოპტიმიზაცია;
- არსებული სასტუმრო კომპლექსის თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობა ექსპლოატაციის ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

კომპანიის ხელთ არსებული რესურსები (როგორც მატერიალური, ასევე შრომითი) საკმარისია იმისათვის, რომ შემუშავებულ იქნას ახალი სტრატეგია შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით, კიდევ უფრო სრულყოფილი გახადოს მართვის სისტემა, გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და მიღწეული იქნას 2017 წელთან შედარებით მაღალი ფინანსური მაჩვენებლები.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ქარაფი“-ს

დირექტორი

გიორგი რუხაძე

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 48 311 183 ლარს, ხოლო საწესდებო კაპიტალი - 45 972 481 ლარს.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების რეიტინგის ზრდა და მომსახურების სერვისის ხარისხის ამაღლება კლიენტის შემდგომი მოზიდვის მიზნით;
- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და ხარჯების ოპტიმიზაცია;
- არსებული სასტუმრო კომპლექსის თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობა ექსპლუატაციის ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

კომპანიის ხელთ არსებული რესურსები (როგორც მატერიალური, ასევე შრომითი) საკმარისია იმისათვის, რომ შემუშავებულ იქნას ახალი სტრატეგია შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით, კიდევ უფრო სრულყოფილი გახადოს მართვის სისტემა, გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და მიღწეული იქნას 2017 წელთან შედარებით მაღალი ფინანსური მაჩვენებლები.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ქარაფი“-ს

დირექტორი

გიორგი რუხაძე

